შპს „საქართველოს მელიორაცია“ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისთვის ირიგაციისა და დრენაჟის სერვისების მიმწოდებელი კომპანიაა. კომპანიის სერვისებს შორისაა ჰიდროელექტროსადგურების, საწარმოებისა და ტბორებისათვის წყლის მიწოდება, სპეც. ტექნიკითა და მობილური გადასატანი ტუმბო-აგრეგატით მომსახურების გაწევა. მომსახურება ქვეყნის მასშტაბით 19 სერვისცენტრის მეშვეობით ხორციელდება.

სერვისები

- ირიგაცია (მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა);
- დრენაჟი (დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობა (დაწრეტა), თხრილების, არხების ან მიწისქვეშა სისტემის საშუალებებით);
- ტბორი (ტბორისთვის/თევზსაშენისთვის წყლის მიწოდება);
- ჰესებისთვის წყლის მიწოდება;
- საწარმოსთვის წყლის მიწოდება.
- სპეც. ტექნიკით მომსახურების გაწევა.
- მობილური გადასატანი ტუმბო-აგრეგატით მომსახურების გაწევა.

ტარიფები

- აღმოსავლეთ საქართველო ირიგაცია - 75 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) 1 ჰა-ზე;
- დასავლეთ საქართველო ირიგაცია - 45 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) 1 ჰა-ზე;
- აღმოსავლეთ/დასავლეთ საქართველო დრენაჟი - 40 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) 1 ჰა-ზე;
- ტბორი (ტბორისთვის/თევზსაშენისთვის წყლის მიწოდება) - 150 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) 1ჰა-ზე (სარკისებრი ზედაპირი).
- ჰესებისთვის წყლის მიწოდება - ხელშეკრულების პირობებით.
- საწარმოსთვის წყლის მიწოდება - ხელშეკრულების პირობებით.
- სპეც. ტექნიკით მომსახურების გაწევა - ხელშეკრულების პირობებით.
- მობილური გადასატანი ტუმბო-აგრეგატით მომსახურების გაწევა - ხელშეკრულების პირობებით.

მოცემული ტარიფები ერთჯერადია და მოქმედებს განაცხადით/ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით.

სამელიორაციო მომსახურების პირობები:

- სამელიორაციო მომსახურების მისაღებად მიმართეთ კომპანიის სერვისცენტრებს და შეავსეთ განაცხადი;

ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, განაცხადის რეგისტრაციის გარეშე, სამელიორაციო ინფრასტრუქტურით სარგებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას:

- **ფიზიკური პირი 250 ლარი;**
- **იურიდიული პირი 500 ლარი.**

ქმედების განმეორების შემთხვევაში აღნიშნული თანხები გაორმაგდება.

ასევე, დაგეკისრებათ კომპანიის მიმართ ზიანის ანაზღაურება განაცხადის რეგისტრაციის გარეშე მიღებული მომსახურების ღირებულების მოცულობით.

განაცხადის გაუქმება

- მომსახურებაზე უარის შესახებ განაცხადი უნდა წარმოადგინოთ მომსახურების მიღებამდე;
- მოსარწყავი ფართობის კორექტირების შესახებ განაცხადი უნდა წარმოადგინოთ მხოლოდ იმ ფართობზე, რომელზეც არ განხორციელებულა მომსახურება;
- თუ განაცხადით განსაზღვრულ პერიოდში მომსახურება ვერ განხორციელდა, შესაბამის სერვის ცენტრს წერილობით უნდა მიმართოთ მომსახურების მიღების პირველი თარიღის დადგომიდან 10 დღის განმავლობაში.

მომსახურების საფასურის გადახდის ვადები

- თუ ირიგაცია/დრენაჟის მომსახურების მიწოდების პირველი პერიოდი მოთხოვნილია 01 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, საფასური უნდა გადაიხადოთ არაუგვიანეს მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისა;
- თუ ირიგაცია/დრენაჟის მომსახურების მიწოდების პირველი პერიოდი მოთხოვნილია 01 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საფასური უნდა გადაიხადოთ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 დეკემბრისა;
- ტბორული მეურნეობისთვის წყლის მიწოდების მომსახურების საფასური უნდა გადაიხადოთ მიმდინარე წლის 10 დეკემბრამდე.

წინააღმდეგ შემთხვევაში დაგეკისრებათ პირგასამტეხლო, გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის გადახდისას (ჩარიცხვისა და ბანკის ოპერატორის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შემოტანისას) გადახდის დანიშნულებაში სავალდებულოა შემდეგი ინფორმაციის მითითება:

- აბონენტის ნომერი;
- აბონენტის სახელი და გვარი;
- აბონენტის პირადი/საიდენთიფიკაციო ნომერი;
- განაცხადის/ხელშეკრულების ნომერი.

საბანკო ანგარიშები:

სს „საქართველოს ბანკი“ GE58BG0000000182323100

სს „ლიბერთი ბანკი“ GE54LB0113111469652000

სს „თიბისი ბანკი“ GE42TB7484736020100003

მომსახურების პირობები დეტალურად იხილეთ www.ag.ge

სამელიორაციო მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 00 10 00